

## სახაზინო სამსახურის

### ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

## საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის შემოსავლებისა და ხარჯების შესრულების შესახებ

### სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და გრანტების 2004 წლის 9 თვის საპროგნოზო მოცულობა (ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების სოციალური გადასახადების გარეშე) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული განწერის შესაბამისად განისაზღვრა 1 076 039.0 ათასი ლარის ოდენობით.

ε ბიუჯეტის შემოსულობებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ფინანსების მართვის გაუმჯობესებისა და საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით 2004 წლის 13 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო საგანგებო დადგენილება №3 „სახელმწიფო ხაზინის მიერ სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორებათა განხორციელებისა და ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ” და დაამტკიცა შესაბამისი პროცედურების განხორციელების სპეციალური ინსტრუქცია. ჰ

დადგენილების თანახმად, სახაზინო სამსახური 2004 წლის 5 აპრილიდან ახორციელებს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებას და ანგარიშსწორებას, რამაც ხელი შეუწყო ბიუჯეტის შემოსულობების სრულყოფილად აღრიცხვას შესაბამის ბიუჯეტებში, რათა უფრო დეტალური ინფორმაცია მიგველო მობილიზებულ შემოსავლებზე ახალი კლასიფიკაციის მიხედვით.

2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და გრანტების 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებლიდან (1 076 039.0 ათასი ლარი, ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების სოციალური გადასახადების გარეშე) იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლებისა და გრანტების სახით ფაქტიურად მიღებული იქნა 1 144 402.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის 106%-ს შეადგენს. მათ შორის, ცენტრალური ბიუჯეტის ნაწილში საბიუჯეტო შემოსავლებისა და გრანტების 9 თვის საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 780 545.0 ათასი ლარით, საიდანაც ფაქტიურად მიღებული იქნა 832 102.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 107%-ს შეადგენს.

2004 წლის 9 თვეში ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრებიდან საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 592 699.0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან, 1 ოქტომბრის მდგომარეობით სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე ჩარიცხული იქნა 623 618.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 105%. ცენტრალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საშემოსავლო გადასახადიდან ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 16 380.0 ათასი ლარი, საიდანაც სახაზინო სამსახურის საბიუჯეტო ანგარიშებზე მიღებული იქნა 16 387.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100%;

მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელმა საანგარიშო პერიოდში 11 310.0 ათასი ლარი შეადგინა, ფაქტობრივად ცენტრალურ ბიუჯეტში მიღებული იქნა 11 311.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100%;

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავლების 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 388 145.0 ათასი ლარი, სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე მიღებული იქნა 410 219.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 106%. მათ შორის:

– საგადასახადო დეპარტამენტიდან დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 176 817.0 ათასი ლარით, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 185 256.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105%;

– საბაჟო დეპარტამენტიდან დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 211 328.0 ათასი ლარით, საიდანაც მიღებული იქნა 224 963.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 106%.

აქციზის სახით 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრული იქნა 106 902.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 110 868.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104%. მათ შორის:

– საგადასახადო დეპარტამენტის ხაზით აქციზის სახით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 36 204.0 ათასი ლარი, ფაქტობრივად მიღებული იქნა 37 765.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104%;

– საბაჟო დეპარტამენტის ხაზით აქციზიდან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 70 698.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 73 103.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103%. აქედან: საავტომობილო ბენზინის აქციზიდან ცენტრალურ ბიუჯეტში მიღებული იქნა 29 035.0 ათასი ლარი, სხვა ნავთობპროდუქტებიდან – 10 191.0 ათასი ლარი, თამბაქოს ნაწარმიდან – 29 369.0 ათასი ლარი, სხვა აქციზური პროდუქტიდან – 4 508.0 ათასი ლარი.

საბაჟო გადასახადიდან მისაღები შემოსავლების 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 69 246.0 ათასი ლარი, ცენტრალურ ბიუჯეტში მიღებული იქნა 73 414.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 106%;

ფიქსირებული გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 365.0 ათასი ლარი, რაც 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (240.0 ათასი ლარი) 152%-ია; მცირე ბიზნესის გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 474.0 ათასი

ლარი, ანუ 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (476.0 ათასი ლარი) 100%; სხვა გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 580.0 ათასი ლარი.

მთლიანობაში, 2004 წლის იანვარ-სექტემბერში ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების კუთხით საბაჟო დეპარტამენტის 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებლით განსაზღვრული იქნა 351 272.0 ათასი ლარის მიღება, საიდანაც მობილიზებული იქნა 371 480.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 106%, ხოლო საგადასახადო დეპარტამენტის მიერ 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებლით განსაზღვრული 241 427.0 ათასი ლარიდან ფაქტობრივად მობილიზებული იქნა 252 138.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104%.

რაც შეეხება საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში მიღებულ არასაგადასახადო შემოსავლებს, საანგარიშო პერიოდში ამ სახის შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 159 594.0 ათასი ლარით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე მიღებული იქნა 172 263.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 108%. მათ შორის:

- მოსაკრებლებიდან მისაღები შემოსავლების 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრული იყო 24 022.0 ათასი ლარით, ხოლო მობილიზებული იქნა 30 571.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 127%-ია;

- სახელმწიფო ქონების იჯარიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 1 032.0 ათასი ლარი, ანუ 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (814.0 ათასი ლარი) 127%;

- მომსახურების გაწვიდან მიღებულმა შემოსავალმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 3 902.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 503.0 ათასი ლარი) 156%-ია;

- არაძირითადი (თანმდევი) გაყიდვიდან მისაღები შემოსავლის 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 12 667.0 ათასი ლარით, ხოლო მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 8.0 ათასი ლარი;

- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების დივიდენდებიდან მიღებული იქნა 5 801.0 ათასი ლარი, რაც 9 თვის საპროგნოზო პარამეტრის (4 636.0 ათასი ლარი) 125%-ია;

- ეროვნული ბანკის მოგებიდან მიღებული იქნა 12 000.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (12 000.0 ათასი ლარი) 100%;

- სახელმწიფო სესხის პროცენტიდან, გაცემული სესხის დაფარვის ვადების დარღვევისათვის გადახდილი საურავებიდან ნაცვლად 9 თვის გეგმით განსაზღვრული 6 685.0 ათასი ლარისა, მიღებული იქნა 1 718.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 26%;

- ჯარიმებითა და სანქციებით მიღებული იქნა 6 316.0 ათასი ლარი, რაც 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (5 195.0 ათასი ლარი) 122%-ია;

- გაცემული კრედიტების დაბრუნებიდან მიღებული იქნა 15 873.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (14 039.0 ათასი ლარის) 113%;

- სხვა არასაგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 95 042.0 ათასი ლარი, ანუ 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (77 033.0 ათასი ლარი) 123%.

კაპიტალური შემოსავლების 9 თვის საპროგნოზო პარამეტრმა შეადგინა 5 193.0 ათასი ლარი, საიდანაც ფაქტიურად მიღებული იქნა 3 009.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 58%.

უცხოეთიდან გრანტების სახით 2004 წლის იანვარ-სექტემბერში ფაქტობრივად მიღებული იქნა 33 212.0 ათასი ლარი, რაც 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (23 060.0 ათასი ლარი) 144%-ია.

რაც შეეხება სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში მიღებულ შემოსავლებს, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შემოსავლებმა ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების სოციალური გადასახადების გარეშე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში (1 იანვრიდან – 5 აპრილამდე) მობილიზებული სოციალური ანარიცხების ჩათვლით შეადგინა 253 959.0 ათასი ლარი, ანუ 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (240 050.0 ათასი ლარი) 106%. სახელმწიფო საგზაო ფონდში საანგარიშო პერიოდში მობილიზებულმა სახსრებმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (1 იანვრიდან – 5 აპრილამდე) მობილიზებული შემოსავლების გარეშე (1 563.0 ათასი ლარი) შეადგინა 58 342.0 ათასი ლარი, ანუ 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (55 443.0 ათასი ლარი) 105%.

### ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროები

„საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით 2004 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 271 144.0 ათასი ლარით. მათ შორის: 1.

საშინაო წყაროებიდან – 13 000.0 ათასი ლარი. აქედან:

– 26 500.0 ათასი ლარი საქართველოს ეროვნული ბანკისადმი საქართველოს მთავრობის წმინდა დავალიანების ზრდა;

– 15 000.0 ათასი ლარი საქართველოს სახელმწიფოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ სახაზინო ვალდებულებებზე დავალიანების შემცირება;

– 1 500.0 ათასი ლარი 2004 წლის 1 იანვრისათვის არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების ნაშთის გამოყენება.

2. საგარეო წყაროებიდან – 258 144.0 ათასი ლარი. მათ შორის: – 46 080.0 ათასი ლარი მსოფლიო ბანკის მიერ გამოსაყოფი გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტი;

– 212 064.0 ათასი ლარი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო სახელმწიფოთა მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაყოფი, ინვესტიციური ხასიათის, გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად 2004 წლის იანვარ-სექტემბერში გამოყენებული რესურსების ოდენობამ შეადგინა სულ 151 526.7 ათასი ლარი. აქედან:

1. ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისათვის საშინაო წყაროებიდან ფაქტიურად მიიღარა 10 515.4 ათასი ლარი. მათ შორის:

– სახაზინო ვალდებულებების განთავსების გზით ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად მიღებულმა შემოსავლებმა – 9 564.9 ათასი ლარი;

– წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნება – 950.5 ათასი ლარი.

2. ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისათვის საგარეო წყაროებიდან ფაქტიურად მიიმართა 141 011.3 ათასი ლარი. მათ შორის:

– რეფორმების მხარდაჭერის მიზნით მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტი – 44 371.3 ათასი ლარი;

– საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და უცხო სახელმწიფოთა მთავრობების მიერ ინვესტიციური ხასიათის, გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები – 96 640.0 ათასი ლარი. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და უცხო სახელმწიფოთა მთავრობების მიერ გამოყოფილი კრედიტებისა და გრანტების სახსრები პირდაპირ ირიცხება შესაბამისი ინვესტიციური პროექტების განმახორციელებელი რგოლების კომერციული ბანკებში გახსნილ ანგარიშებზე, საიდანაც მიმდინარეობს მათი ათვისება. ამასთან, „საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების ხარჯები გათვალისწინებულია სამინისტროებისა და უწყებების ასიგნებებში, შესაბამისად პროექტების განხორციელებასა და ათვისებული თანხების შესახებ ინფორმაციის ფინანსთა სამინისტროში წარდგენაზე პასუხისმგებელია დარგობრივი სამინისტროები და უწყებები. დღეისათვის მიუხედავად ფინანსთა სამინისტროს არა ერთგზის მოთხოვნისა ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. ამ ანგარიშის შედგენის მიზნებისათვის განხორციელებული ინვესტიციური პროექტების შესრულების შესახებ ინფორმაცია აღებულია მსოფლიო ბანკის ვებ-გვერდიდან. ინფორმაცია ატარებს ოპერატიულ ხასიათს და დაზუსტებული იქნება დარგობრივი სამინისტროებისა და პროექტების განმახორციელებელი ერთეულების მიერ ანგარიშების წარმოდგენის შემდგომ.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2004 წლის პირველი იანვრისთვის არსებული გარდამავალი საბრუნავი სახსრების ფაქტობრივად არსებული ოდენობა შეადგენს 15 258.2 ათასი ლარს. ააქედან, სახელმწიფო საგზაო ფონდის არსებულმა გარდამავალმა საბრუნავი სახსრები – 1 695.8 ათასი ლარი; სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი – 5 396.9 ათასი ლარი; ცენტრალური ბიუჯეტი – 8 165.5 ათასი ლარი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ, ეროვნული ბანკის დასკვნითი ბრუნვით, ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების 101 ანგარიშზე 2003 წლის 14 იანვარს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან გადმორიცხული 21 ათასი ლარით, შეტანილი იქნა შესწორება და გაზრდილი იქნა გარდამავალი საბრუნავი სახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთი. ეროვნული ბანკის მიერ შემოსავლების №412 ფორმაში, აღნიშნული თანხიდან 18 ათასი ლარი ასახული იყო, როგორც საგზაო ფონდის 2003 წლის შემოსავალი, ხოლო ფულადი სახსრები აღრიცხული იქნა, როგორც ცენტრალური ბიუჯეტის გარდამავალი საბრუნავი სახსრები. ეროვნულმა ბანკმა აღნიშნულის დაზუსტება და გატარების გასწორება განახორციელა მიმდინარე წლის 27 მარტს, რამაც გამოიწვია შესაბამისად 18

ათასი ლარით საგზაო ფონდის საწყისი ნაშთის გაზრდა და ცენტრალური ბიუჯეტის გარდამავალი ნაშთის იგივე თანხით შექცობა.

### ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები

2003 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 1 სექტემბრამდე სახაზინო სამსახური მოქმედებდა საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის №1307 განკარგულებით მიღებული „ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით“ ინსტრუქციით. 2004 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №571 „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწვევის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის და „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად.

ინსტრუქციის გადამუშავებისას სახაზინო სამსახურმა გაითვალისწინა ვალდებულებების კონტროლის მექანიზმის ფუნქციონირების პერიოდში დაგროვილი გამოცდილება. ინსტრუქციაში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, რაც უფრო მოქნილსა და ეფექტურს ხდის აღნიშნული მექანიზმის მოქმედებას და ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

„საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით დამტკიცებული ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კვარტალური განწერის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2004 წლის 20 აგვისტოს №548 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2004 წლის 9 თვის ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 1 074 616.5 ათასი ლარით. აქედან, ზემოაღნიშნული ინსტრუქციების მიხედვით მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 864 690.2 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 833 062.9 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 940 953.6 ათასი ლარი (გაწეულ ხარჯებში ჩართულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ინვესტიციური პროექტების დაფინანსების თანხა 101 031.8 ათასი ლარი, რომელიც არ ითვალისწინებს ვალდებულებისა და დამოწმების რეგისტრაციას), რაც დაგეგმილ ოდენობასთან მიმართებაში 133 646.9 ათასი ლარით ნაკლებია და მის 88%-ს შეადგენს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის ხარჯებში ასახული არ არის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განლაგებული ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების დასაფინანსებლად გადარიცხული 729.0 ათასი ლარი, ვინაიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი არ იქნა შესაბამისი თანხის განაწილება ადმინისტრაციული და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით. ა

მიმდინარე წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში რეგიონალური ხაზინის გახსნამდე 1 იანვრიდან 6 აპრილამდე ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ხარჯების დაფინანსება (ინფორმაცია ცალკე დანართის სახით თან ერთვის) ხორციელდებოდა ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი ადგილზე დატოვებული სახსრებიდან ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ (წერილი №05-1/16, 7.04.2004).

აღნიშნული მონაცემები დასტურდება ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წერილებით, რომლის შესაბამისად 2004 წლის 1 იანვრიდან 6 აპრილამდე ავტონომიურ რესპუბლიკაში ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებზე გაწეულმა ხარჯებმა (ცენტრალური ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხის ჩათვლით) 2 088.9 ათასი ლარი შეადგინა.

2004 წლის იანვარ-სექტემბერში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების გასაცემად ცენტრალური ბიუჯეტიდან მიმდინარე წლის 9 თვეში განსაზღვრული იყო 140 753.1 ათასი ლარის გამოყოფა. ფაქტიურად ამ მიზნით რეგისტრირებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 129 206.9 ათასი ლარი, ვალდებულებები დამოწმებული იქნა 126 424.7 ათასი ლარზე, ხოლო ფაქტიურად გადახდილი იქნა 124 784.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის 89%-ს შეადგენს. აქედან, 13 294.1 ათასი ლარი გაცემული იქნა წინა პერიოდის დავალიანება სახელფასო დავალიანებების დასაფარავად გამოყოფილი ასიგნებებიდან.

შრომის ანაზღაურებაზე დარიცხული სოციალური ანარიცხების სახით მიმდინარე წლის 9 თვეში ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებულია 22 076.7 ათასი ლარის გამოყოფა. ცენტრალურ ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციების მიერ დამქირავებელიდან ანარიცხების სახით საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 20 901.8 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 19 985.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად გადახდილი იქნა 19 861.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის 90%-ს შეადგენს. აქედან, 2 338.0 ათასი ლარი გაცემული იქნა წინა პერიოდის დავალიანება სოციალური ანარიცხების დასაფარავად გამოყოფილი ასიგნებებიდან.

მივლინებებისათვის მიმდინარე წლის 9 თვეში გათვალისწინებულია 8 163.8 ათასი ლარის გამოყოფა, საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 6 829.1 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ – 6 697.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად მივლინებებზე გაცემულმა თანხამ შეადგინა 6 506.5 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 80%).

„სხვა საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან მიმდინარე წლის 9 თვეში დაგეგმილია 155 139.6 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 175 270.8 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 170 765.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 168 569.2 ათასი ლარი, რაც საგეგმო პარამეტრის 109%-ია. ამ კატეგორიიდან ფინანსირდება კვების ხარჯები. 2004 წლის ცხრა თვეში ცენტრალური ბიუჯეტიდან კვების ხარჯების მუხლით

განსაზღვრული ასიგნებანი შეადგენს 12 805.7 ათას ლარს. აღნიშნული ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულების ოდენობამ შეადგინა 12 164.7 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 11 386.7 ათასი ლარი, ხოლო ამ მიზნით ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 11 364.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 89%-ს შეადგენს.

სხვა საქონელი და მომსახურების კატეგორიიდან გაწეული დანარჩენი ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- ოფისის ხარჯები: ვალდებულება – 11 654.2 ათასი ლარი, დამოწმება – 10 931.3 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 10 835.7 ათასი ლარი, დავალიანება – 95.6 ათასი ლარი;
- კომუნალური ხარჯები: ვალდებულება – 23 461.8 ათასი ლარი, დამოწმება – 22 996.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 22 749.0 ათასი ლარი, დავალიანება – 247.0 ათასი ლარი;
- მედიკამენტების შეძენის ხარჯები: ვალდებულება – 429.0 ათასი ლარი, დამოწმება – 347.5 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 338.4 ათასი ლარი, დავალიანება – 9.1;
- რბილი ინვენტარი და უნიფორმის ხარჯები: ვალდებულება – 4 881.5 ათასი ლარი, დამოწმება – 4 708.8 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 4 190.5 ათასი ლარი, დავალიანება – 518.3 ათასი ლარი;
- ტრანსპორტისა და ტექნიკის შენახვის ხარჯები: ვალდებულება – 21 387.5 ათასი ლარი, დამოწმება – 20 524.4 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 20 415.3 ათასი ლარი, დავალიანება – 109.1 ათასი ლარი;
- სპეციალური პროგრამების მომსახურების ხარჯები: ვალდებულება – 4 763.0 ათასი ლარი, დამოწმება – 4 745.8 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 4 745.8 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები: ვალდებულება – 96 529.1 ათასი ლარი, დამოწმება – 95 125.1 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 93 930.3 ათასი ლარი, დავალიანება – 1 194.8 ათასი ლარი.

ამასთან, მნიშვნელოვანია სხვა საქონელი და მომსახურების მუხლიდან გაწეული ხარჯების განხილვა თემატურად. კერძოდ, „სხვა საქონელი და მომსახურების“ კატეგორიაში გათვალისწინებული ასიგნებებიდან ხორციელდება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დაფინანსებაც. შესაბამისად, მიმდინარე წლის 9 თვეში საელჩოების შენახვისათვის გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 22 443.9 ათასი ლარი, საიდანაც განხორციელებულმა დაფინანსებამ შეადგინა 21 763.2 ათასი ლარი (მოიცავს დიპლომატიური კორპუსის სახელფასო და საცხოვრებელ ხარჯებს). ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილთა კომუნალური ხარჯების (მოხმარებული ელექტროენერგიისა და წყლის ღირებულების ანაზღაურება, ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე დასაქმებული პერსონალის ხელფასები) ასანაზღაურებლად გამოიყო 14 986.5 ათასი ლარი, საიდანაც 11 162.7 ათასი ლარი მიიმართა ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში ლტოლვილთა მიერ



მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურებისათვის, ხოლო 703.5 ათასი ლარი მოხმარებული წყლის ღირებულების ანაზღაურებისთვის.

ამავე მუხლის ანგარიშში წინა წლებში წარმოქმნილ დავალიანებებზე დაკისრებული თანხების სახით სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშებიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროს საინკასო დავალებით, იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 497.0 ათასი ლარი. მათ შორის, 46.9 ათასი ლარი ჩამოჭრილი იქნა საბიუჯეტო ორგანიზაციების მომსახურე სხვადასხვა ორგანიზაციების სასარგებლოდ, ხოლო 450.1 ათასი ლარი ჩამოჭრილი იქნა ფიზიკური პირების სასარგებლოდ. დავალიანებათა ჩამოწერის შესახებ წერილობით ეცნობათ შესაბამის სამინისტროებს, რომელთა დავალიანების დაფარვაც განხორციელდა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნული თანხების პროგრამულად გატარება ხდება ჩამოჭრის შემდეგ ვალდებულებისა და დამოწმების ხელოვნურად გატარებით.

სუბსიდიებისა და მიმდინარე ტრანსფერების კატეგორიიდან მიმდინარე წლის 9 თვეში დაგეგმილია 445 137.5 ათასი ლარის გამოყოფა. საანგარიშო პერიოდში ამ მუხლიდან აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 331 661.8 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 327 889.2 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯებმა შეადგინა 369 468.5 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი ოდენობის 83%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლიდან ძირითადად ხორციელდება სახელფასო და სოციალური ვალდებულებების დაფარვა.

მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერის სახით გადაერიცხათ 101 316.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (101 682.3 ათასი ლარი) 100%. მათ შორის, სოციალურ ტრანსფერზე მიიმართა 99 334.7 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებლის (99 602.3 ათასი ლარი) 100%, ხოლო სპეციალურ ტრანსფერზე – 1 982.0 ათასი ლარი, დაგეგმილი ოდენობის (2 080.0 ათასი ლარი) 95%.ამავე მუხლიდან დევნილთა შემწეობების დაფარვასზე მიიმართა 34 160.7 ათასი ლარი, ანუ 9 თვის საპროგნოზო პარამეტრის (35 720.9 ათასი ლარი) 96%.

სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გადაცემული ტრანსფერების საერთო მოცულობამ შეადგინა 41 977.0 ათასი ლარი. მათ შორის:

– 31 977.0 ათასი ლარი – პენსიები;

– 10 000.0 ათასი ლარი – ტრანსფერი უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა სოციალური დახმარების პროგრამაზე.

ამასთან, სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გადარიცხულ ტრანსფერში ასახულია 16.0 მლნ ლარი, რომელიც გადაირიცხა წინა პერიოდის საპენსიო დავალიანების დასაფარავად „ზოგიერთი საბიუჯეტო ხარჯის დაფინანსების დამატებითი ღონისძიებების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის მიმდინარე წლის 26 აპრილის №348 განკარგულების შესაბამისად.

სუბსიდიებისა და ტრანსფერების მუხლიდან საანგარიშო პერიოდში კულტურის დაწესებულებები დაფინანსდა 11 309.5 ათასი ლარით, რაც 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (13 552.9 ათასი ლარი) 83%-ია; საქართველოს

ტელევიზიას და რადიომაუწყებლობას გამოეყო 11 464.2 ათასი ლარი ანუ 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (14 319.0 ათასი ლარი) 80%; ენერგოსისტემის სუბსიდირებისათვის გამოყოფილი იქნა 36 621.9 ათასი ლარი, რაც 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (43 644.5 ათასი ლარი) 84%-ია.

კაპიტალური ხარჯების მუხლით მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 30 565.3 ათასი ლარი, რაც 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (გეგმა – 44 094.4 ათასი ლარი, ვალდებულება – 35 533.5 ათასი ლარი, დამოწმება – 31 319.3 ათასი ლარი) 69%-ს შეადგენს.

რაც შეეხება სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებას, საანგარიშო პერიოდში საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვისათვის მიიმართა 92 820.4 ათასი ლარი (ცხრა თვის გეგმა – 111 231.5 ათასი ლარი). აქედან, სესხის მომსახურების თანხამ შეადგინა 37 685.8 ათასი ლარი, ხოლო საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვამ შეადგინა 55 134.5 ათასი ლარი.

საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის იანვარ-სექტემბერში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები შეადგენდა 71 420.9 ათას ლარს, რაც 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (74 690.0 ათასი ლარი) 96%-ია. (აღნიშნული ხარჯების ჩამოჭრა სახაზინო სამსახურის საბიუჯეტო ანგარიშიდან ეროვნული ბანკის მიერ ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში). მათ შორის:

– ეროვნული ბანკის სესხის მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშიდან ჩამოიწერა 54 202.4 ათასი ლარი, ანუ 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (56 690.0 ათასი ლარი) 96%;

– სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯებმა შეადგინა 17 218.5 ათასი ლარი, რაც 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (18 000.0 ათასი ლარი) 96%-ია.

ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ანგარიშში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ ინვესტიციური პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი ინვესტიციური კრედიტებისა და მისი თანმხლები გრანტების საფუძველზე შესაბამისი კომერციული ბანკების ანგარიშებიდან ცხრა თვეში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 101 031.8 ათასი ლარი.

უაღსანიშნავია, რომ სექტემბრის ბოლოს ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშებზე მიღებული თანხების სრულად ათვისება ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში ვერ მოესწრო და 1 ოქტომბრის მდგომარეობით სახაზინო სამსახურის ბიუჯეტის სალარე ანგარიშებზე არსებული გარდამავალი ნაშთი დაფიქსირდა 51 133.7 ათასი ლარის ოდენობით, სადაც ასევე ჩართულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დასაფინანსებლად გადარიცხული 729.0 ათასი ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ ბანკში გახსნილი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისათვის გახსნილ ანგარიშზე რიცხული ნაშთი 90.3 ათასი ლარი, რომელიც ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგიონალური ხაზინის გახსნასთან დაკავშირებით სახაზინო სამსახურის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დახურული იქნა ეროვნული ბანკის მიერ და ანგარიშზე რიცხული ნაშთი გადმოირიცხა სახაზინო სამსახურის ხარჯების ანგარიშზე. გადმოირიცხული თანხა

შემცირდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი წერილის საფუძველზე 3.3 ათასი ლარით. აღნიშნული თანხის გეგმა, რომელიც შესაბამისად დაფინანსდა ავტონომიური რესპუბლიკიდან სამინისტროს მიერ გადმოტანილი იქნა სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის გეგმაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, თავისუფალმა ნაშთმა გადმორიცხული თანხიდან 87.0 ათასი ლარი შეადგინა.

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით რეალურად 1 ოქტომბრის მდგომარეობით სახაზინო სამსახურის სალარე ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთმა 50 404.7 ათასი ლარი შეადგინა.

ასევე, პირველი ოქტომბრის მდგომარეობით ბიუჯეტის სავალუტო ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 359.9 ათასი ლარი.

## სპეციალური სახსრების მარჯვენებლების შესახებ

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ვ) პუნქტის შესაბამისად, 2004 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო ორგანიზაციებს გაუუქმდათ სპეცსახსრები. კანონის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სახაზინო სამსახურის წერილობითი მიმართვის საფუძველზე შეაჩერა სპეციალური სახსრების სალარე და სავალუტო ანგარიშებზე თანხების განთავსება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიმდინარე წლის 23 იანვრის №29 ბრძანების შესაბამისად, მოხდა საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშებზე რიცხული ნაშთების დაზუსტება. საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთების სახაზინო სამსახურის მონაცემებთან შედარების შედეგომ, საბიუჯეტო ორგანიზაციების წერილობითი დასტურისა და საგადასახადო დავალების საფუძველზე ხდება საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშზე 2004 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთების სხვა არასაგადასახადო შემოსავლების ანგარიშზე ჩარიცხვა, ხოლო მიმდინარე წელს სპეცსახსრების ანგარიშზე ჩარიცხული შემოსავლების გადატანა ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების შესაბამის ანგარიშებზე.

ამასთან, საქართველოს ეროვნულ ბანკში გაიხსნა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის სპეციალური ანგარიშები, რომლებზეც განთავსდება პროკურატურის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, სპეციალური სახსრების ანგარიშზე რიცხული დეპოზიტური, სატენდერო მოსაკრებლების თანხების, საბიუჯეტო ორგანიზაციების გრანტის სახით გამოყოფილი სახსრების ანგარიშგება და ანგარიშსწორება.

ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტში შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალი, რომლებმაც სახაზინო სამსახურს წერილობით მომართეს კომერციულ ბანკებში ანგარიშების გახსნისათვის თანხმობის მისაღებად. „საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე, საბიუჯეტო დეპარტამენტიდან წარმოდგენილი დასკვნების საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 32-ე პუნქტის თანახმად, უფლება მიეცათ ანგარიშები გაეხსნათ კომერციულ ბანკებში და ამ ანგარიშებზე გადაეტანათ სპეცსახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 23 იანვრის №29 ბრძანების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სახაზინო სამსახურში მიმდინარეობს მუშაობა ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშებზე რიცხული ნაშთების დასაზუსტებლად. 2004 წლის 1 ოქტომბრისთვის დაზუსტებულია სპეცსახსრების ანგარიშებზე რიცხული ნაშთი საერთო თანხით 9 910.3 ათასი ლარი.

დაზუსტებული ნაშთის თანხა შემცირდა სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტისა და რეგიონალური ხაზინების სპეცსახსრებიდან 1998-2000 წლებში ცენტრალურ ბიუჯეტში მიმართული 2290.4 ათასი ლარით, საინკასო დავალებებით სპეცსახსრებიდან ჩამოჭრილი 56.5 ათასი ლარით, სულ 2 346.9 ათასი ლარი.

ამდენად, დაზუსტებული ნაშთიდან შესაბამის ანგარიშებზე გადაირიცხა 7 563.4 ათასი ლარი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაზუსტებული იქნა სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის სპეცსახსრების სავალუტო ანგარიშებზე რიცხული ნაშთები 561.7 ათასი აშშ დოლარი, 1015.1 ათასი ევრო და 710.2 ფუნტი სტერლინგი.

ამასთან, სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის სპეციალური სავალუტო და სალარე ანგარიშებზე რიცხული პროკურატურის დეპოზიტებიდან საანგარიშო პერიოდში პროკურატურის წერილობითი მიმართვისა და საგადახლო დავალებების საფუძველზე, ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლებში მიიმართა 25 968.1 ათასი ლარი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სპეცსახსრების ანგარიშების გაუქმების გამო და ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციების მიერ გაწეული ფასიანი მომსახურებიდან მიღებული სახსრების მიმართვა ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლებში, რომელზეც ორგანიზაციებს ერიცხებათ გადასახადები და ფაქტიურად მოკლებული არიან ყოველგვარ შესაძლებლობას მოახდინონ დარიცხული გადასახადების და საგადასახადო ორგანოების მიერ მათზე დარიცხული საურავების გადახდა. საკითხის შემდგომში დარეგულირების მიზნით გამოიკა ფინანსთა მინისტრის მიმდინარე წლის 14 მაისის №331 ბრძანება „ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გაწეული ფასიანი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების ბიუჯეტში ანგარიშსწორების წესის შესახებ“, რომლის თანახმად ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა ორგანიზაციებმა,

რომელთა მიერ გაწეული მომსახურება საგადასახადო კოდექსის მიხედვით იბეგრება გადასახადებით, მიღებული სახსრები გადასახადების დეკლარირებამდე უნდა განათავსონ ეროვნულ ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტისა და რეგიონალურ ხაზინებში გახსნილ სპეციალურ ანგარიშებზე, საიდანაც ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საგადახდო დავალების საფუძველზე მოხდება ბიუჯეტში კუთვნილი გადასახადების გადახდა, ხოლო გადასახადების გადახდის შემდგომ დარჩენილი თანხა მიიძარება ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლებში.

## **დონორების მიერ დაფინანსებული საბიუჯეტო ორგანიზაციების შემოსულობებიდან (ფულადი გრანტები) გაწეული ხარჯების შესახებ**

ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობების (ფულადი გრანტების) განთავსება ხდება სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტში და რეგიონალურ ხაზინებში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე. ამ ანგარიშებზე გრანტის სახით მიღებული შემოსავლების ხარჯვა ხორციელდება „საბიუჯეტო ორგანიზაციების და სპეციალური სახელმწიფო ფონდებისათვის დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობების (ფულადი გრანტების) აღრიცხვის და ხარჯვის წესის“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 27 თებერვლის №99 ბრძანებით განსაზღვრული წესის თანახმად.

2004 წლის ცხრა თვეში ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისათვის დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებიდან (ფულადი გრანტები) გასაწევი ხარჯები დაიგეგმა სულ 3 601.5 ათასი ლარით (ცენტრალური საარჩევნო კომისია – 16.4 ათასი ლარი; საქართველოს პროკურატურას – 9.6 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტროს – 3 025.2 ათასი ლარი; სტატისტიკის დეპარტამენტს – 220.8 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტროს – 18.4 ათასი ლარი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს – 113.5 ათასი ლარი; ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს – 36.5 ათასი ლარი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს – 54.7 ათასი ლარი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას – 85.2 ათასი ლარი; სახალხო დამცველის სამსახურს – 21.3 ათასი ლარი). შემოსულობებიდან გასაწევი ხარჯები, ცალკეული ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით დაიგეგმა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებისათვის – 3 011.3 ათასი ლარი; მივლინებებისათვის – 36.3 ათასი ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების მუხლიდან – 110.1 ათასი ლარი; სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერებიდან – 86.1 ათასი ლარი, ხოლო კაპიტალური ხარჯებიდან – 357.7 ათასი ლარი.

დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებიდან გაწეულმა ხარჯებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 3 484.6 ათასი ლარი (ცენტრალური საარჩევნო კომისია – 16.2 ათასი ლარი; საქართველოს პროკურატურა – 6.1 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტრო – 2 967.2 ათასი ლარი; სტატისტიკის დეპარტამენტი – 212.8 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტრო – 18.4 ათასი ლარი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – 76.3 ათასი ლარი; ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი – 36.5 ათასი ლარი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტრო – 53.5 ათასი ლარი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია – 85.1 ათასი ლარი; სახალხო დამცველის სამსახური – 12.4 ათასი ლარი). შემოსულობებიდან გასაწევმა ხარჯებმა, ცალკეული ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით შეადგინა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებისათვის – 2 991.1 ათასი ლარი; მივლინებებისათვის – 36.3 ათასი ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების მუხლიდან – 99.5 ათასი ლარი; სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერებიდან – 57.3 ათასი ლარი, ხოლო კაპიტალური ხარჯებიდან – 300.4 ათასი ლარი.

## საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

„საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 10 000.0 ათასი ლარით. 2004 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ოდენობამ შეადგინა 31 898.1 ათასი ლარი, რაც 21 898.1 ათასი ლარით აღემატება კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელს, რომლის დაზუსტებაც საჭიროებს „საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსებული იქნა 25 130.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 79%. აქედან: 6 053.4 ათასი ლარი გადაირიცხა ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ტრანსფერის სახით; 341.8 ათასი ლარი საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატს აფხაზეთის ა/რ გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობაში; სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში (ქ. თბილისის მერიისათვის) – 9.0 ათასი ლარი; სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს ზ. საკანდელიძის ოჯახის ფინანსური დახმარებისთვის – 5.0 ათასი ლარი; სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს მ. ქორქიას ოჯახის ფინანსური დახმარებისთვის – 5.0 ათასი ლარი; ანტიკორუფციულ ბიუროს – 101.2 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტროს – 248.7 ათასი ლარი; თავდაცვის სამინისტროს „ნატო“-სთან ინტეგრაციის ღონისძიებებისათვის – 9 814.7 ათასი ლარი; შსს-ს ცენტრალურ აპარატს – 5 147.2 ათასი ლარი; ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი – 9.9 ათასი ლარი; მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს კ. წერეთლის ოჯახის ფინანსური დახმარებისათვის – 5.0 ათასი ლარი; კულტურის სამინისტროს აპარატს ჟურნალისტ ი. გოცირიძის ოჯახის ფინანსური დახმარებისათვის – 5.0 ათასი ლარი; სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ხორბლის შესასყიდლად) – 575.5 ათასი ლარი; სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისათვის სასუქის შესაძენად) – 294.5 ათასი ლარი; სოფლის მეურნეობის სამინისტროს (აჭარის ა/რ მაღალმთიანი რ-ნის მოსახლეობისათვის სასუქის შეძენისა და მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ გადაცემა-განაწილების მიზნით) – 299.9 ათასი ლარი; სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურს –

11.5 ათასი ლარი; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას რ. ლავგილაგას ოჯახის ფინანსური დახმარებისათვის – 5.0 ათასი ლარი; კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ჯ. მდივნის ოჯახის ფინანსური დახმარებისათვის – 5.0 ათასი ლარი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროებით საპრეზიდენტო საბჭოს – 47.6 ათასი ლარი; მთავრობის კანცელარიას (საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად) – 382.0 ათასი ლარი; ეკონომიკის სამინისტროს (სსიპ ფონდი „აღმოჩინე საქართველოსთვის“) – 28.8 ათასი ლარი; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას – 24.0 ათასი ლარი; პრეზიდენტის ადმინისტრაციას ნ. ყანჩელის ოჯახის ფინანსური დახმარებისათვის – 1.0 ათასი ლარი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს – 1 045.0 ათასი ლარი; მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს ლ. ჭილაშვილის ოჯახის ფინანსური დახმარებისათვის – 5.0 ათასი ლარი; ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს – 256.7 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტროს რეაბილიტირებულ მოქალაქეთათვის ხარჯების ასანაზღაურებლად – 370.0 ათასი ლარი; საქართველოს პრეზიდენტის დროებით ადმინისტრაციას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 27.6 ათასი ლარი; მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტს ქ. იერუსალიმში ქართველ მეცნიერთა კომპლექსური ექსპედიციის დასაფინანსებლად – 5.8 ათასი ლარი.

## წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვა

„საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა პერიოდის დავალიანების დასაფარავად გამოყოფილი ასიგნებების ოდენობა 42.0 მლნ ლარით განისაზღვრა. აღნიშნული თანხიდან საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით იანვარ-სექტემბერში ცალკეულ ღონისძიებებზე და ორგანიზაციებზე გადანაწილებული ასიგნებების ოდენობამ 61 015.5 ათასი ლარი შეადგინა. აქედან, საანგარიშო პერიოდში რეალურად დაფარული იქნა 57 240.3 ათასი ლარი. მათ შორის:

– შრომის ანაზღაურების მუხლით გამოყოფილი იქნა 13 698.4 ათასი ლარი, რეალურად დაფარული იქნა 13 294.1 ათასი ლარი;

– დამქირავებლიდან ანარიცხების მუხლით გამოიყო 2 418.9 ათასი ლარი, საიდანაც დაიფარა 2 338.0 ათასი ლარი;

– მივლინების მუხლით გამოყოფილი იქნა 57.5 ათასი ლარი, საიდანაც დაიფარა 33.3 ათასი ლარი;

– სხვა საქონელი და მომსახურების მუხლიდან გამოიყო 9 450.9 ათასი ლარი, ფაქტიურად დაიფარა 7 127.6 ათასი ლარი;

– სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერების მუხლით გამოყოფილი იქნა 35 389.8 ათასი ლარი, საიდანაც ფაქტიურად დაფინანსდა 34 447.3 ათასი ლარი. 3

გარდა ზემოაღნიშნულისა, „ზოგიერთი საბიუჯეტო ხარჯის დაფინანსების დამატებითი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის მიმდინარე წლის 26 აპრილის №348 განკარგულების თანახმად დამატებით წინა პერიოდის დავალიანების დასაფარავად გამოყოფილი ასიგნების ოდენობამ 20 678.2 ათასი

ლარი შეადგინა. მათ შორის: განათლების მუშაკთა წინა პერიოდის სახელფასო დავალიანების დასაფარავად გამოიყო 1 432.6 ათასი ლარი; ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ტრანსფერის სახით გადაირიცხა 3 245.6 ათასი ლარი; საპენსიო ფონდის წინა პერიოდის დავალიანების დასაფარავად კი გადაირიცხა 16 000.0 ათასი ლარი.

### საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შემოსავლები საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერისა და ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების დამქირავებლიდან ანარიცხების გათვალისწინებით 2004 წლის იანვარ-სექტემბერში განისაზღვრა 326 981.3 ათასი ლარით, საიდანაც ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 332 179.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 102% (ეს მონაცემები არ მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებმაც წინასწარი ინფორმაციით შეადგინა 6 067.1 ათასი ლარი).

ცენტრალური ბიუჯეტიდან სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა ტრანსფერების სახით მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში მიიღო 41 977.0 ათასი ლარი. მათ შორის: ტრანსფერი უმწეოთა სოციალურ (ოჯახების) დახმარებაზე 10 000.0 ათასი ლარი.

იურიდიული პირების (დამქირავებლის) და მოქალაქეთა სოციალური გადასახადებიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური ანარიცხების გარეშე, სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა მიიღო 276 204.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (265 561.3 ათასი ლარი) 104%-ს შეადგენს. ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან გადმოცემულმა თანხებმა შეადგინა 8 486.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (7 014.6 ათასი ლარი) 121%; წინა წლებში გაცემული პენსიების მობრუნებულმა თანხებმა შეადგინა 2.4 ათასი ლარი, ხოლო გაურკვეველმა შემოსავლებმა – 112.3 ათასი ლარი.

2004 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ანგარიშზე არსებულმა გარდამავალმა ნაშთმა შეადგინა 5 396.9 ათასი ლარი.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში გაწეულმა ხარჯებმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მონაცემების გარეშე შეადგინა 307 205.3 ათასი ლარი, ანუ 9 თვის დაგეგმილ (326 981.3 ათასი ლარი) ოდენობაზე 19 776.0 ათასი ლარით ნაკლები (94%).

აქედან, 1. სოციალური დაცვის პროგრამების ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 234 886.7 ათასი ლარი, ანუ 9 თვის გეგმით გათვალისწინებულ (242



507.3 ათასი ლარი) მაჩვენებელზე 7 620.6 ათასი ლარით ნაკლები (97%); მათ შორის:

ა) პენსიონერთა პენსიებმა შეადგინა 219 511.9 ათასი ლარი, ანუ 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (223 795.2 ათასი ლარი) 98%;

ბ) დროებით შრომისუუნარობასთან დაკავშირებულ დახმარებებზე მიიმართა 2 316.9 ათასი ლარი, რაც 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (2 685.0 ათასი ლარი) 86%-ია;

გ) უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა დახმარებებზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 10 170.7 ათასი ლარი, რაც 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (11 792.5 ათასი ლარი) 86%-ს შეადგენს;

დ) 9 აპრილს დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამაზე მიიმართა 22.2 ათასი ლარი, ანუ 9 თვის საპროგნოზო პარამეტრის (22.2 ათასი ლარი) 100%;

ე) პენსიებისა და დახმარებების გაცემის მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2 865.0 ათასი ლარი, ანუ 9 თვის საპროგნოზო პარამეტრის (4 212.4 ათასი ლარი) 68%.

2. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 61 989.1 ათასი ლარი, ანუ 9 თვის საპროგნოზო პარამეტრის (70 891.5 ათასი ლარი) 87%. მათ შორის:

ა) მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამაზე გამოიყო 10 304.3 ათასი ლარი, ანუ 9 თვის გეგმიური (10 957.5 ათასი ლარი) მაჩვენებლის 94%;

ბ) მოსახლეობის სტაციონალური დახმარების სახელმწიფო პროგრამაზე მიიმართა 37 334.2 ათასი ლარი, ანუ 9 თვის დაგეგმილი (41 789.5 ათასი ლარი) ოდენობის 89%;

გ) მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაზე მიიმართა 6 854.6 ათასი ლარი, ანუ 9 თვის საპროგნოზო პარამეტრის (7 644.5 ათასი ლარი) 90%;

დ) ჯანდაცვის პროგრამებში წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარავად გამოიყო 7 496.0 ათასი ლარი, ანუ 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (10 500.0 ათასი ლარი) 71%.

3. შშმ სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამაზე მიიმართა 2 640.6 ათასი ლარი, ანუ 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (3 385.0 ათასი ლარი) 78%.

4. საორგანიზაციო და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსებაზე მიიმართა 6 289.0 ათასი ლარი, ანუ 9 თვის დაგეგმილ (7 070.5 ათასი ლარი) ოდენობაზე 781.5 ათასი ლარით ნაკლები (89%).

5. უმუშევრობის სოციალური დაცვის და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამაზე გამოიყო 699.8 ათასი ლარი, ანუ 9 თვის დაგეგმილ (2 427.0 ათასი ლარი) მაჩვენებელზე 1 727.2 ათასი ლარით ნაკლები (29%).

6. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საორგანიზაციო და ადმინისტრაციულმა ხარჯებმა შეადგინა 700.0 ათასი ლარი, ანუ 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (700.0 ათასი ლარი) 100%.

## საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდი

საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლების გეგმიური მოცულობა 2004 წლის 9 თვეში განისაზღვრა 56 830.4 ათასი ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში საგზაო ფონდში მობილიზებული სულ შემოსავლების ოდენობამ შეადგინა 59 359.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 104%. აქედან: შემოსავლებმა (საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები) შეადგინეს 58 341.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (55 330.4 ათასი ლარი) 105%-ია; გაურკვეველმა შემოსავალმა შეადგინა 76.6 ათასი ლარი; ხოლო 2004 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებულმა საწყისმა ნაშთმა შეადგინა 1 695.8 ათასი ლარი (ეროვნული ბანკის მიერ შეტანილი შესწორების შესაბამისად საგზაო ფონდის საწყისი ნაშთი გაიზარდა 18.3 ათასი ლარით). საანგარიშო პერიოდში საგზაო ფონდიდან ბიუჯეტში გადარიცხული იქნა 755.0 ათასი ლარი.

ემიძინარე წლის იანვარ-სექტემბერში ფაქტიურად საგზაო ფონდის მიერ გაწეული ხარჯების მოცულობამ შეადგინა 41 084.7 ათასი ლარი, ანუ 9 თვის დაგეგმილ ოდენობაზე (56 830.4 ათასი ლარი) 15 745.7 ათასი ლარით ნაკლები (72%).

მათ შორის:

1. გზების მოვლა-შენახვაზე (მიმდინარე და პერიოდული შეკეთება და ზამთრის შენახვა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 20 128.5 ათასი ლარი, ანუ 9 თვის საპროგნოზო პარამეტრის (29 357.7 ათასი ლარი) 69%. აქედან:

ა) გზების პერიოდულ შეკეთებასა და რეაბილიტაციაზე მიიძღვნა 8 109.9 ათასი ლარი, ანუ 9 თვის საპროგნოზო პარამეტრის (14 795.0 ათასი ლარი) 55%;

ბ) გზების მიმდინარე შეკეთებაზე გამოიყო 8 664.5 ათასი ლარი, რაც 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (9 902.7 ათასი ლარი) 87%-ს შეადგენს;

გ) გზების შენახვაზე ზამთრის პერიოდში გამოიყო 1 400.0 ათასი ლარი, ანუ 9 თვის საპროგნოზო პარამეტრის (2 300.0 ათასი ლარი) 61%;

დ) სხვა დანარჩენმა ხარჯებმა შეადგინა 1 954.1 ათასი ლარი, ანუ 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (2 360.0 ათასი ლარი) 83%.

2. მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის ფონდის კრედიტებით შესრულებული სამუშაოების თანამონაწილეობის ხარჯებმა შეადგინა 2 288.2 ათასი ლარი, ანუ 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (4 800.0 ათასი ლარი) 48%. აქედან:

ა) მსოფლიო ბანკის კრედიტმა შეადგინა 2 027.9 ათასი ლარი, რაც 9 თვის საპროგნოზო პარამეტრის (3 500.0 ათასი ლარი) 58%-ია;

ბ) კუვეიტის ფონდის კრედიტმა შეადგინა 260.3 ათასი ლარი, 9 თვის საპროგნოზო პარამეტრის (1 300.0 ათასი ლარი) 20%;

3. უცხოური კრედიტების ძირითადი თანხებისა და მომსახურების პროცენტების სახით გაწეული იქნა ხარჯი 7 160.3 ათასი ლარის ოდენობით, ანუ 9 თვის დაგეგმილი ოდენობის (7 915.0 ათასი ლარი) 90%. აქედან:

- ა) მსოფლიო ბანკის კრედიტის ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტების სახით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 3 259.2 ათასი ლარი, ანუ 9 თვის დაგეგმილი ოდენობის (3 775.0 ათასი ლარი) 86%;
- ბ) მსოფლიო ბანკის კრედიტის ათვისებულ ნაწილზე მომსახურების პროცენტის სახით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 585.5 ათასი ლარი, ანუ 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (635.0 ათასი ლარი) 92%;
- გ) კუვეიტის ფონდის კრედიტის ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტების სახით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3 315.6 ათასი ლარი, ანუ 9 თვის საპროგნოზო პარამეტრის (3 505.0 ათასი ლარი) 95%;
4. წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის დაფარვისათვის მიიმართა 5 560.9 ათასი ლარი, ანუ 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (5 600.0 ათასი ლარი) 99%;
5. საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქვეუწყებო დაწესებულებების აპარატის შენახვის ხარჯებმა შეადგინა 558.3 ათასი ლარი, ანუ 9 თვის დაგეგმილი ოდენობის (558.3 ათასი ლარი) 100%;
6. სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ხარჯებმა შეადგინა 409.4 ათასი ლარი, ანუ 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის (409.4 ათასი ლარი) 100%;
7. სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელ სამუშაოებზე მიიმართა 4 884.2 ათასი ლარი, რაც 9 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (8 000.0 ათასი ლარი) 61%-ია;
8. კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 94.8 ათასი ლარი, ანუ 9 თვის დაგეგმილ ოდენობაზე (190.0 ათასი ლარი) 95.2 ათასი ლარით ნაკლები (50%).

2004 წლის იანვარ-სექტემბრის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების შესრულების წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული მონაცემების საფუძველზე.